

საპრედიტო პორტფელის მართვის ფინანსურ-ანალიტიკური საქმიანობის გაუმჯობესების აუდიტგეგმა

გვი გამსახურდია
კონსტანტინე სულამანიძე

საპრედიტო პორტფელის სტანდარტების ფორმირება და სრულყოფის გზების ძიება საპრედიტო პორტფელის მართვის ფინანსურ-ანალიტიკური საქმიანობის გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს. ასეთი სტანდარტების საბაზო შექანიშები არის: 1. რისკების მიღების წესი; 2. დაკრედიტების ლიმიტების განსაზღვრა; 3. საპრედიტო პორტფელის ფორმირების პროცესში მისი პრიორიტეტების ჩამოყალიბება.

დაკრედიტების ლიმიტების დადგენა წარმოადგენს საპრედიტო პორტფელის ფორმირების ძირითად წესს. საპრედიტო პორტფელის შედგენა გამოიყენება ბანკის რისკების შემცირებისა და მისი საქმიანობის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის. საპრედიტო პორტფელი საშუალებას აძლევს ბანკს ერთი მხრივ, თავიდან აიცილოს გადახდისუნარიანობის კრიტიკული დანაკარგების საშიშროება და მეორე მხრივ, საპრედიტო პორტფელის დივერსიფიკაციის საფუძველზე უზრუნველყოს სტაბილური მოგების მიღება. დაკრედიტების ლიმიტები იყოფა შემდეგ სახეებად: დარგობრივი ლიმიტები; ლიმიტები ქვეყნის ფარგლებში; მსესხებლების ლიმიტები; ვალუტის სახეების მიხედვით ლიმიტები; დაფარვის ვადის მიხედვით ლიმიტები; უზრუნველყოფის მიხედვით ლიმიტები; ლიმიტები შეიძლება დაწესდეს ნორმატივების ფორმით ან აბსოლუტურად განსაზღვრული სიდიდის მიხედვით. ლიმიტების განსაზღვრის ნორმატიულ ბაზად შეიძლება აღებული იქნას ბანკის საკუთარი კაპიტალის მოცულობა, საპრედიტო პორტფელის სიდიდე და ან სხვა ზოგიერთი მაჩვენებლები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დაკრედიტების ლიმიტების განსაზღვრამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ჯერ გამოვავლინოთ და განვსაზღვროთ რისკის ძირითადი ფაქტორები. როგორც კი რისკის ძირითადი სფეროების იდენტიფიცირება მოხდება, ბანკის ხელმძღვანელობამ ბაზრის მთავარი ფაქტორების და რისკების გამოვლენილი სფეროების გათვალისწინების საფუძველზე, საპრედიტო პორტფელის ლიმიტები უნდა დაადგინოს. ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს საპრედიტო პორტფელის მართვის პრიორიტეტები და რისკების მიღების წესი. საპრედიტო პორტფელის ფორმირების სტანდარტების პირველი ეტაპი განსაზღვრავს საპრედიტო პორტფელის იმ მდგომარეობაში გადაყენას, რომლის დროსაც საუკეთესოდ შეიძლება გადაწყდეს დილემა “რისკი-შემოსავალი”.

საპრედიტო პორტფელის პრიორიტეტების განსაზღვრის დროს აუცილებელია გამოვავლინოთ ის დარგები, რომლებიც ნაკლები რისკების მატარებლები არიან საშუალო რისკის სიდიდესთან შედარებით და ასევე უნდა გამოვავლინოთ დარგები, რომელთა დაკრედიტების შემთხვევაში ბანკი მიიღებს მაღალ შემოსავალს. ამრიგად, ასეთი მიდგომა ბანკს მისცემს საშუალებას გამოავლინოს და განსაზღვროს ის დარგები, რომლებიც ხასიათდება მაღალი რისკებით და მათი დაკრედიტების მოცულობა მნიშვნელოვნად შეამციროს.

რისკების მიღების წესი გამომდინარეობს დილემის “რისკი-შემოსავალი” გადაწყვეტის კრიტერიუმიდან, რომელიც გულისხმობს მაღალი სფეროს რისკების მქონე დარგებზე ინდივიდუალური კრედიტების გაცემის დროს სტრუქტურული მოთხოვნების გამკაცრებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკები მოითხოვენ წარმოების სფეროს კომპანიებისგან, რომ კაპიტალის სტრუქტურაში საკუთარ საშუალებებთან შედარებით ჰქონდეთ ნებისმიერი საშუალებების უფრო ნაკლები ზედიერთი წილი, რაც მათ სტაბილურ საწარმოო საქმიანობას უზრუნველყოფს.

საპრედიტო პოლიტიკის მართვაში განსაკუთრებულ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საპრედიტო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებაზე, დაკრედიტების კონტროლის, კერძოდ საპრედიტო მონიტორინგის განხორციელება. (აღნიშნული პროცესის ნათლად წარმოდგენისათვის იხილეთ სქემა საპრედიტო მონიტორინგის პროცესის შესახებ).


როგორც საპრედიტო მონიტორინგის პროცესის სქემიდან ჩანს საპრედიტო პოლიტიკის ხარისხის გაუმჯობესებაზე საპრედიტო მონიტორინგის განხორციელების პროცესის მიზანია მსესხებლის კრედიტუნარიანობის მდგომარეობა აკონტროლოს, მისი ცვლილებების მიზეზები გაანალიზოს და პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში სიტუაციიდან გამომდინარე რა აუცილებელი ღონისძიებები უნდა განახორციელოს. აღნიშნულიდან დაკავშირებით მნიშვნელოვანია კლიენტებთან მჭიდრო კავშირი და მათი კრედიტუნარიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციის დროულად მიღების უზრუნველყოფა. იგი გულისხმობს ლიკვიდობის, ფინანსური სტრუქ-

ინვესტიციები, ტექნოპარკები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები

ტურის, რენტაბელობის მდგომარეობაზე ყოველ-
დღიურ ყურადღებას და ამ მაჩვენებლების დინამი-
კის ანალიტიკური ანალიზის განხორციელებას,
კერძოდ, აუცილებელია ანალიზი გაუკეთდეს კრე-

დიტუნარიანობის განსაზღვრის ოთხივე მაჩვენე-
ბელს და აქედან გამომდინარე შეფასდეს კრედი-
ტის სტრუქტურა, მისი შესაბამისობა საკრედიტო
ხელშეკრულების მოთხოვნებთან.

სქემა – საკრედიტო მონიტორინგის პროცესი



საკრედიტო პორტფელის კონტროლის განხორ-
ციელების პროცესში აუცილებელია დამუშავდეს
კრედიტის რანჟირებისათვის რისკების კლასიფი-
კაცია და მინიმუმ კვარტალში ერთხელ შემოწმდეს
აღნიშნული მდგომარეობა, რაც თავის მხრივ საშუ-
ალებას მოგვცემს დროულად გამოვლინდეს მსესხე-
ბლის კრედიტუნარიანობის უზრუნველყოფაში
პრობლემები და ბანკის ინტერესების დაცვის შეს-
აძლებლობები. ჩვენი აზრით, კრედიტის რანჟირე-
ბა, სხვა არაფერია, თუ არა სასესხო პორტფელის
ხარისხისა და რისკის გათვალისწინებით, სისტე-
მური და ობიექტური შეფასების მეთოდი, რომლის
მიზანია საკრედიტო პორტფელის გაუმჯობესება.

საკრედიტო პორტფელის ხარისხის გაუმჯობე-
სების გზებია: **ჯერ ერთი**, მსესხებლის გადახდისუ-
ნარიანობის შესახებ წინასწარი გამაფრთხილებე-
ლი ინფორმაციის მიღება; **მეორე**, მართველობითი
ინფორმაციის ოპერატიული სტრუქტურა; **მესამე**,
პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის სტანდ-
არტების საზღვრების დადგენა; **მეოთხე**, ადგილზე
ანგარიშგების, კლიენტის ანგარიშების სწორად
შედგენა და კლიენტებთან ნდობის საფუძველზე
ერთიერთობების მოწესრიგება; **მეხუთე**, საკრედი-

ტო მონიტორინგის პროცესზე მართველობის მაღა-
ლი რგოლიდან ერთერთ ხელმძღვანელზე პერსონ-
ალურად პასუხისმგებლობის გადაცემა.

საკრედიტო პორტფელის მართვის სრულყოფის
თვალსაზრისით პრიორიტეტს უნდა წარმოადგენ-
დეს: საბანკო რენტაბელობის ამაღლება საკრედიტო
ბაზრის ყველაზე უფრო მოშიდადელ სეგმენტებში
კაპიტალდაბანდებათა ზრდით და პარალელურად
კაპიტალდაბანდებათა მოცულობის შემცირება ნა-
კლებად შემოსავლიან დარგებში. აღნიშნული მიზ-
ნის მიღწევისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია
შემდეგი ღონისძიებების გატარება: **ჯერ ერთი**, სა-
ჭიროა ბაზარზე მიმდინარე სიტუაციიდან გამომ-
დინარე, მაღალშემოსავლიანი და დაბალშემოსავ-
ლიანი მიმართულებები გამოავლინოთ; **მეორე**,
საკრედიტო ბაზარზე რისკების გათვალისწინებით
პრიორიტეტული სეგმენტები შევარჩიოთ; **მესამე**,
ბანკის სტრატეგიული მიზნების და განვითარების
პრიორიტეტების ცვლილებებიდან გამომდინარე,
მისი განვითარების მიმართულებების კორექტირება
მოვახდინოთ; **მეოთხე**, ბანკის თანამშრომლები მუდ-
მივად წავახალისოთ და დარგების განვითარების
პერსპექტივების გათვალისწინებით დაკრედიტების

მოცულობები გაეზარდოთ; მეზუთე, ხარისხის მიხედვით კრედიტის ანალიზი და შესაბამისად მისი დაჯგუფება განვახორციელოთ.

საკრედიტო პორტფელის მართვის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრედიტის ხარისხის მიხედვით საკრედიტო პორტფელის სტრუქტურის ჩამოყალიბება, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის გზით პრობლემური, ვადაგადაცილებული, უიმედო სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთის დადგენა, რაც ჩვენი აზრით ბანკს მისცემს საშუალებას განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებები საკრედიტო ოპერაციებთან დაკავშირებული დანაკარგების შესამცირებლად. კრედიტის ხარისხის დადგენა შესაძლებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: 1. ყოველ კონკრეტულ სესხზე საკრედიტო რისკის შემცირებით და 2. მთელი ბანკის საკრედიტო პორტფელის ღირებულება სესხების დანაკარგების შემცირებით.

საკრედიტო პორტფელის მართვაში განსაკუთრებით საყურადღებოა საკრედიტო პორტფელის შემოსავლებზე საკრედიტო რისკის ზეგავლენა და მისი რაოდენობრივი შეფასება, რომელიც კოეფიციენტების სისტემის გამოყენებით ხორციელდება.

საკრედიტო პორტფელის შემოსავლების მნიშვნელოვან ინტეგრირებულ მაჩვენებელს წარმოადგენს წმინდა საპროცენტო მარგა საკრედიტო რისკის გათვალისწინებით. ეს მაჩვენებელი გამოხატავს წმინდა საპროცენტო განაკვეთის თანაფარდობას (რომელიც კორექტირებულია კრედიტის მიხედვით დანაკარგების სიდიდესთან) საკრედიტო პორტფელის სიდიდესთან. მოცემული კოეფიციენტი შეიძლება გამოყენებული იქნეს ბანკის მიერ საკრედიტო რისკის მართვის შეფასების დროს. ეს მაჩვენებელი ითვალისწინებს საკრედიტო რისკით განპირობებულ დანაკარგებთან ერთად შემოსავლებს, რომლებიც საკრედიტო რისკის მიღებიდან გამომდინარეობს.

ქართული საბანკო სფერო საქართველოში ეკონომიკის ერთერთ ყველაზე სწრაფად განვითარებად დარგს წარმოადგენს. საქართველოს საბანკო სისტემის სწრაფი განვითარებისათვის საჭირო ნიადაგის შექმნა საქართველოს მთავრობის დამსახურებაა, რომელმაც აღნიშნული საქმე ეროვნული ბანკის მეშვეობით განახორციელა. ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ქართული საბანკო სისტემის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა ქვეყანაში “მულტინაციონალური” საბანკო ერთეულების შემოსვლამ, როგორებიცაა “სოხიეტენერალი”, “HSBC” და “პროკრედიტ ბანკი”, რომლებმაც თავის მხრივ ქართულ ბანკებს მსოფლიო გამოცდილება გაუზიარა.

დღეისათვის საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული პროგრესის შესანარჩუნებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორი ფინანსურ-

ანალიტიკური საქმიანობის წარმართვა, ვინაიდან ცნობილია, რომ პროგრესს ყოველთვის თან სდევს ნეგატიური მოვლენებიც, რისთვისაც საბანკო სისტემა მზად უნდა იყოს. ამიტომ აუცილებელია შეიქმნას ისეთი მოდელი, რომლის მიხედვითაც ბანკები მოახდენენ თავიანთი საკრედიტო პორტფელის რეალური სექტორული კონცენტრაციის რისკის დონის შეფასებას და მის შესამცირებლად ადექვატური ზომების მიღებას. ამისათვის საჭიროა ერთიანი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება და მის საფუძველზე საქართველოს საბანკო სისტემაში სექტორული რანჟირების ერთიანი მიდგომით, ამ სექტორთა შორის ურთიერთდამოკიდებულება კორელაციების დადგენაში გამოიხატოს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ არ არსებობს რაიმე ტიპის საერთოდ მიღებული მეთოდოლოგია, რომლითაც ბანკის მენეჯერები მოახდენენ საკრედიტო პორტფელის პროპორციის დაყოფას სასურველ კლიენტურის სეგმენტებისა და მოცულობების ზღვრების მიხედვით. სწორედ აღნიშნული არის მთავარი მიზეზი, რომ ბანკის მენეჯერები სექტორებისა და კლიენტების სახეობათა მიმართ ზღვრებს ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებლად, სუბიექტური მოსაზრებებიდან გამომდინარე ადგენენ. აღნიშნულ გარემოებას ემატება ისიც, რომ ეროვნული ბანკის საზედამხებელო სამსახურები არ ახდენენ ბანკების სექტორული კონცენტრაციის რეალურ შეფასებას და არ განსაზღვრავენ ეფექტურ სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა საბანკო საქმიანობის რეალური სურათის დანახვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მსოფლიო საბანკო საქმიანობის გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა დაჩქარდეს სექტორულ დაბანდებათა ზედამხედველობის ეფექტური სტანდარტის შექმნის, სეგმენტების რანჟირების ერთიანი მიდგომის ფორმირების პროცესი და მასზე დაყრდნობით განხორციელდეს კომერციულ ბანკებში არსებული საკრედიტო პორტფელის რეალური კონცენტრაციის რისკის ერთიანი მოდელით განსაზღვრა. ეს კი შესაძლებელია საბანკო საქმიანობის სტრატეგიული მართვის და დაგეგმვის დამუშავებისა და პრაქტიკულად დანერგვის საფუძველზე.

ამჟამად კომერციულ ბანკებში საკრედიტო პორტფელის დივერსიფიცირების თვალსაზრისით მიღებულ მიდგომას წარმოადგენს სექტორული ლიმიტების დაწესება, რომლებიც უზრუნველყოფენ დაბანდებათა თანაბარი მაჩვენებლის შენარჩუნებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ხშირ შემთხვევაში კორპორაციული სეგმენტები ურთიერთდაკავშირებულები არიან და მათი ცალცალკე სეგმენტებზე ლიმიტების დაწესება ვერ აკვაცილებს რეალურად თავიდან საკრედიტო

ინფორმაცია. ტექნოლოგიები და თავისუფალი პერსონალური ზონები

დაბანდების კონცენტრაციის რისკს. მიუხედავად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ბანკების მიერ უმეტეს შემთხვევაში ლიმიტები უშუალოდ კომპანიებზე წესდება და არა ზოგადად სამწარმოო სექტორებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც ვხედავთ, ბანკის საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის შემცირებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ კონცენტრაციის ლიმიტების დაწესება იმ სექტორის მიხედვით, როგორც ეს ამჟამად ხდება საქართველოს ბანკებში. პირველ რიგში საჭიროა სექტორული მიმართულებათა ერთიანი სისტემის შემუშავება, რომელიც სავალდებულო იქნება ყველასათვის და ამასთანავე აუცილებელია სიღრმისეული შესწავლა იმ სამრეწველო მიმართულებების, რომლებზედაც ბანკებს განხრახული აქვთ სესხების გაცემა. უნდა შეიქმნას სექტორული შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს ქვეყანაში არსებული ყველა სექტორის თუ დარგის ანალიზს, მათ კლასიფიკაციას, სექტორების ურთიერთკავშირსა და თითოეული სექტორის დამოკიდებულებას მნიშვნელოვან მიკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე აუცილებელია პარალელურად სექტორებს შორის რეალური კავშირის ანალიზის ჩატარება და მხოლოდ ამის შემდეგ კომერციულმა ბანკებმა უნდა მოახდინონ მათი სექტორული ლიმიტების განსაზღვრა, რაც თავის მხრივ საკრედიტო პორტფელის სწორი დივერსიფიკაციის გაკეთების შესაძლებლობას მოგვცემს. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სექტორებზე ლიმიტების დაწესება ორგანოდ განხორციელდეს: 1. ლიმიტები დაწესდეს იმ საკრედიტო პროდუქტებზე, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია სექტორულ ბიზნესთან და 2. ლიმიტები დაწესდეს იმ საკრედიტო პროდუქტებზე, რომლებიც ირიბად კავშირშია ამა თუ იმ სექტორზე დამოკიდებულ პირებთან.

ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მსესხებელ კლიენტთა რეიტინგული შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ემყარება კლიენტის გადახდისუნარიანობასა და მის მასშტაბურობას, მაგრამ ისინი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს იდეალურ საზომად კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის შეფასებისათვის, ვინაიდან ხსენებული კრიტერიუმები არ მოიცავს საერთო პორტფელის ერთობლივ შეფასებას. ისინი კონკრეტულად აფასებენ მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობას, რაც არასაკმარისია საკრედიტო პორტფელის მთლიანი შეფასებისათვის, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს კომპლექსური შეფასების მაჩვენებელთა სისტემაში ისეთი ფაქტორიც, როგორიც არის სექტორული კონცენტრაციის რისკის სიდიდე. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ თუ ბანკს თავის პორტფელში ჰყავს მხოლოდ უმაღლესი

გადახდისუნარიანი კლიენტები, რომლებიც მოღვაწეობენ ნავთობის სექტორში, ვერ განსაზღვრავენ ბანკის პორტფელის მაღალი დონის ხარისხს, ვინაიდან იგი სრულად არის დამოკიდებული ნავთობის ბიზნესის სპეციფიკაზე და აღნიშნულიდან გამომდინარე 100%-ით იქნება ამ სექტორის რისკის მატარებელი.

საბანკო საქმიანობის პრაქტიკიდან გამომდინარე, საკრედიტო პორტფელის სტაბილურობის შენარჩუნების აღიარებული მეთოდია პორტფელის დივერსიფიკაცია, რომელიც წარმოადგენს კომერციული ბანკების პორტფელის რისკიანობიდან მიღებული დანაკარგების შემცირების ბერკეტს. აღნიშნულის მიზნით ჯერ კიდევ 1990 წლიდან საქართველოს კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს საკრედიტო პორტფელში კონცენტრაციის რისკის განსაზღვრაზე მუშაობა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე დაიწყეს ე.წ. სექტორული სფეროების სტანდარტიზირება და მის საფუძველზე ბანკებმა განსაზღვრეს თუ მათ მიერ შერჩეულ კონკრეტულ სექტორზე რა მოცულობის დაბანდების მოცულობა ჰქონდათ გათვალისწინებული. თავდაპირველად ბანკებმა იხელმძღვანელებს “ინდუსტრიების სტანდარტიზებული კოდების (SIC CODE) ჩამონათვლის შესაბამისად, რომ განესაზღვრათ ბანკის პორტფელზე სექტორული კონცენტრაციის პროპორცია, მაგრამ შემდეგში აღმოჩნდა, რომ აღნიშნული კლასიფიკაცია მრავალფეროვანს წარმოადგენდა კომერციული ბანკისათვის, რამაც შემდგომში უფრო მარტივი ჩარჩოს მქონე კლასიფიკაციის გამოყენების აუცილებლობა განაპირობა. ყოველივე აღნიშნულის ბანკებისადმი მოსაღები სტანდარტებში მოსაქცევად “შუღის” მიერ შემუშავდა სექტორების სტანდარტიზირებული 34 ჯგუფი, რომელიც ამჟამად მოხმარება მრავალი ბანკის მიერ და იგი საერთაშორისო პრაქტიკით სექტორების რანჟირების სტანდარტულ მიდგომად არის მიჩნეული.

სექტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულება საქართველოს საბანკო სექტორში გვხვდება როგორც კორპორაციულ სექტორებს შორის, ასევე კორპორაციულ და “რითილ” (საცალო) სექტორებს შორისაც და მათი ურთიერთდამოკიდებულება რიგ შემთხვევებში საკმაოდ მჭიდროა. უფრო გარკვევით რომ ჩამოვაყალიბოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს კორპორაციულ საქმიანობაში სექტორული კავშირების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრას, ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: როდესაც ქვეყნის მასშტაბით უარესდება უძრავი ქონების ბიზნესი, ეს რა თქმა უნდა თავისთავად იწვევს დევულოპერული კომპანიებზე ბანკების მიერ გაცემული საკრედიტო პორტფელის რისკიანობის ზრდას, ვინაიდან დევულოპერები

სწორედ უძრავი ქონების შექმნა-გაყიდვით არიან დაკავებული, თუმცა აქვე უნდა გაეთვალისწინოთ ისიც, რომ დეველოპერული კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება არა მხოლოდ დეველოპერულ სეგმენტზე გაცემული სესხების რისკიანობის ზრდას იწვევს, არამედ ის სამშენებლო კომპანიების სეგმენტსაც აუარესებს, რომლებიც დეველოპერული კომპანიების კონტრაქტორები არიან და მათი შემოსავალი დეველოპერების მიერ გადახდილ თანხებზეა დამოკიდებული, ანუ ამ შემთხვევაში დეველოპერულ სეგმენტში წარმოქმნილი სირთულეები ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს სამშენებლო სეგმენტზეც, თუმცა არა ყველა სამშენებლო კომპანიაზე, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი არ არის დამოკიდებული დეველოპერებზე. მაგალითად, ისეთი კომპანიები, რომლებიც დაკავებულია ინფრასტრუქტურული სამუშაოებით (გზების შეკეთება, წყალგაყვანილობის მილებისა და პესების მშენებლობა) მათზე ზეგავლენას ვერ მოახდენს დეველოპერული კომპანიების ფინანსური კრიზისი, ამიტომაც მთლიანი სამშენებლო სეგმენტის ერთ ქვეაში მოხარშვა არ შეიძლება.

კომერციულ ბანკებში სექტორული ლიმიტების დაწესების დროს ყურადღება უნდა მიექცეს სეგმენტების კორელაციის სიმჭიდროვეს და მათი ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს შესაბამისი სექტორული საკრედიტო ლიმიტი.

2008 წლის ფინანსური მოვლენების ცნობილი გაუარესების გამო, საქართველოში მოღვაწე კომერციულმა ბანკებმა შეცვალეს პოლიტიკა და ნაცვლად გააფთრებული კონკურენციისა, დაიწყეს ხელმოჭვრელობა. შესაბამისად დაიწყეს არსებული საბანკო რისკების შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და მათი გაძეგნა. ყოველივე ამის ფონზე ბანკებმა შეწყვიტეს “საგანგაღებო” პროდუქტი, ვინაიდან მიიჩნიეს, რომ საცალო სეგმენტი თანდათანობით უფრო და უფრო დასუსტდებოდა და სარისკო ხდებოდა ამ სეგმენტზე დაბანდების ზრდა. თუმცა საქართველოში მოღვაწე ბანკებს მხედველობაში არ მიუღიათ ის ნეგატიური ზეგავლენა, რაც შესაძლოა ამ გადაწყვეტილებას მოჰყოლოდა; კონკრეტულად კი – სეგმენტებს შორის კორელაციის არარსებობის გამო არ იქნა გათვალისწინებული “საგანგაღებო” პროდუქტთან მიბმული კორპორაციული სეგმენტების სამომავლო ფინანსური სტაბილურობის განჭვრეტა. ამ წინასწარ განუჭვრეტავი გადაწყვეტილების გამო ბანკებში არსებული სესხები, რომლებიც “ელიტ ელექტრონიკის” მაგარ კომპანიაზე იქნა გაცემული, დადგა საფრთხის წინაშე. სწორედ ამ პერიოდში “ელიტ ელექტრონიკის” შემოსავლები საგრძნობლად შემცირდა და კომპანიამ ვეღარ უზრუნველყო მის მიერ ნაკისრი საკრედიტო

ვალდებულების შესრულება ბანკების წინაშე და იძულებული გახდა ბანკებისათვის დაეთმო თავისი ბიზნესი. დღეისათვის “ელიტ ელექტრონიკის” საქართველოში მოღვაწე კომერციული ბანკების საკუთრებაა და მათ მიერ იმართება. თავის მხრივ, კომერციულმა ბანკებმა განაახლეს საგანგაღებო სესხების პროდუქტი, რითაც “ელიტ ელექტრონიკის” მომგებიანობის მაჩვენებელი დაუბრუნეს ძველ დონეს. ყოველივე ამის შემდეგმ გარკვეული ბანკები, გარდა საბანკო სექტორისა, უკვე საყოფაცხოვრებო ტექნიკის სექტორის მძლავრ მოთამაშეებადაც გვევლინებიან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეროვნული ბანკის მიერ მიუხედავად სექტორების ზოგადი დივერსიფიცირების მოთხოვნისა და სექტორების ჭრილში საკრედიტო ლიმიტების განსაზღვრის დადგენისა, რიგი კომერციული ბანკები თავისით ახდენენ სეგმენტების დეტალურ რანჟირებას და მის მიხედვით აწესებენ შიდა საკრედიტო სეგმენტურ ლიმიტებს, რაც თავისთავად მსოფლიო საბანკო საქმიანობის პრაქტიკიდან გამომდინარე მოსასაღებელია, ვინაიდან იგი ხელს უწყობს სეგმენტური კონცენტრაციის დივერსიფიცირებას კომერციულ ბანკებში. ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მიდგომა საჭიროებს ოპტიმიზაციას და ყველა ქართული ბანკისადმი მისაღებ საერთო ჩარჩოში თავმოყრას. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ბანკების მიერ არ ხდება სფეროებს შორის კორელაციის მაჩვენებლების შეფასება. ეს უკანასკნელი უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ კორპორაციულ სეგმენტებს შორის, არამედ ასევე კორპორაციულსა და “რითილ” სეგმენტს შორისაც და ამის გათვალისწინებით მოხდეს საკრედიტო სეგმენტული ლიმიტების განსაზღვრა.

ლიმიტების დაწესების პროცესისას ბანკებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთი მოცულობა და ნატურა, თავიანთი სტრატეგია, საკრედიტო დაინტერესება, თავიანთი უპირატესობანი და არსებული საკრედიტო პორტფელის დივერსიფიცირების დონე. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ რიგ შემთხვევებში ბანკებს შესაძლოა ჰქონდეთ უკეთესი გამოცდილება რომელიმე კონკრეტული სეგმენტის ზედამხედველობისა და პირიქით. საკრედიტო პორტფელის დივერსიფიცირების კუთხით ნაკლებად ნაცნობ სეგმენტში პორტფელის მოცულობის გაზრდით ბანკმა შესაძლოა თავისი პორტფელის რისკიანობა გაზარდოს, ნაცვლად მისი შემსუბუქებისა, ამიტომ არსებული ფაქტორიც უნდა იყოს გათვალისწინებული. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ საქართველოს საბანკო სისტემაში ლიმიტების ზედამხედველობა პრაქტიკულად არ არსებობს. ქართულ საბანკო სისტემაში არსებული პრაქტიკიდან

გამომდინარე, დაწესებული ლიმიტების მართვა და ზედამხედველობა ხდება მხოლოდ ციფრების დონეზე, კონკრეტულად კი ხდება დაწესებული ლიმიტების მოცულობის შედარება არსებულ დაბანდებებთან მიმართებაში და გადახვევების არსებობის შემთხვევაში მათი ჩარჩოში ჩასმა. ეს ზორციელდება მხოლოდ ციფრების დონეზე, ანუ თუ ბანკის მიერ დაწესებულია სამშენებლო სეგმენტზე არსებული ლიმიტი საერთო პორტფელის 10%-ის ოდენობით, მაშინ პორტფელის ცვალებადობასთან ერთად ბანკი მუშაობს ამ ზღვარის შენარჩუნებაზეც (ან ცდილობს მოახდინოს სესხის შემცირება, ანდა სხვა სეგმენტების ჭრილში პორტფელის ზრდა, რათა შენარჩუნდეს სალიმიტო პროპორცია).

აღნიშნული მიდგომა არ უნდა მივიჩნიოთ მიზანშეწონილად, ვინაიდან არ ხდება მაკროეკონომიკურ გარემოებათა გათვალისწინება, რის მიმართებაშიც ხდება სექტორული ლიმიტების განსაზღვრა. ზედამხედველობაც, ისევე როგორც თავის დროზე ლიმიტების დაწესება, უნდა ხდებოდეს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გარემოს განმეორებითი შესწავლითა და ბანკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე დაწესებული ლიმიტების განახლებით. ამასთანავე ერთად უნდა დამუშავდეს პროცესი, რომელზე დაყრდნობითაც რეგულარულად უნდა მოხდეს ბანკებში დადგენილი სექტორული ლიმიტების გადახედვა და ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური ტენდენციების შესაბამისად ბანკის შიდა დაწესებული სექტორული ლიმიტების განახლება.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში რეალურად პორტფელის რისკის სექტორული დივერსიფიცირება არ ხდება. საქართველოს საბანკო სისტემაში ვერ ხერხდება რეალური სექტორული კონცენტრაციის განსაზღვრა და ვერ დგინდება პორტფელის რისკიანობის დონე, ამიტომ ქვეყანაში ამ კუთხით არსებული მიდგომები, რომლებიც არაფრის მომცემია, გარდა “თვითკაყოფილებისა” უნდა ჩანაცვლდეს რეალური ფასეული მიდგომებით, რომლებიც უნდა შემუშავდეს ქვემოთ მოცემული მოდელის მიხედვით (იხ. ცხრილი ტრადიციული მიდგომისა და შემოთავაზებული მოდელის შესახებ).

The necessity of improvement of banks' loan portfolio management

*K. Sulamanidze
G. Gamsakhurdia*

Summary

In a presented work is discussed:

1. Formation of standards for credit portfolio; Risk taking rules; determination of credit limits; drafting the priorities while forming the loan portfolio.
2. The importance of credit monitoring and the importance of effectively providing monitoring, in order to attain a high quality credit policy in the bank.
3. The ways of improvement of loan portfolio quality according to the examples of foreign banks and the possibilities to use them in Georgian banking system.
4. The integrated figures of loan portfolio management under accepted level of risk. The presented work arguments the importance of implementing joint scale for calculating banks' loan portfolios segment concentration risk. In order to solve this problem presented work offers approach which is different from existing traditional one.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გამსახურდია გ. საქართველოში ანტიკრიზისული ღონისძიებების ეროვნული კონცეფციის შესახებ. ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, მარტი-აპრილი 2009
2. გამსახურდია გ. საქართველოში საბანკო ზედამხედველობის სრულყოფის მიმართულებები. ჟურნალი “ეკონომიკა და ბიზნესი”, სექტემბერი-ოქტომბერი 2009
3. იაკობიძე დ. საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. “კომენტარი”, თბილისი, 2009.
4. ინგოროვია ა., ცაავა გ. ფინანსური მენეჯმენტი, “გრაალი”, თბილისი, 2011.
5. პაპავა ვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, “იმპერიალი”, 2000.
6. Ковзанадзе И.К. Тенденции и перспективы развития экономики и банковского сектора трансформированных стран. М., «Финансы и статистика», 2005.